განკარგულება:**გ-31. 31263292**
თარიღი:**25/11/2026**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №65

2026 წლის 25 ნოემბერი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ელექტრონული აუქციონის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, 115-ე მუხლის პირველი ნაწილის, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 36-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე და სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2024 წლის 27 თებერვლის N001236424 ექსპერტის დასკვნების შესაბამისად,

მუხლი 1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (სოფელ სუფსაში მდებარე 387.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 27.15.52.294) განთავსებულ 356,90 კვ.მ. შენობა-ნაგებობაში არსებული 27.15.52.294.01.503 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 17.70 კვ.მ. ფართი და მასზე მიმაგრებული იმავე კვადრატული მიწის ნაკვეთი) ელექტრონული აუქციონის წესით, 3 წლის ვადით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვროს, უძრავი ქონების საერთო ღირებულების 3801,4 (სამიათას რვაას ერთი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარის 80 %-ით, რაც შეადგენს 3041,12 (სამიათას ორმოცდაერთი ლარი და თორმეტი თეთრი) ლარს.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

